

**მებაღე (დეკორატიული მცენარეების) 010152
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

დეკორატიული მებაღეობა გულისხმობს სპეციალურად შერჩეული მერქნიანი და ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარეების გამოყენებით ორიგინალური დიზაინის სკვერების, ბაღებისა და პარკების შექმნას, მხატვრულ გაფორმებას, შემდგომ სეზონურ კვალიფიკაციურ მოვლას და სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას.

II. დასაქამების სფერო

მებაღე არის ბაღთმშენებლობისა და ლანდშაფტის არქიტექტურის ტექნიკური პერსონალი, რომელიც შეიძლება დასაქმდეს ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამსახურებში, ბოტანიკურ ბაღებში, ორანჟერეებში, დეკორატიული მცენარეების სანაშენებში; შეუძლია გახდეს ინდივიდუალური მეწარმე.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მებაღის (დეკორატიული მცენარეების) პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV, V). თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მებაღის (დეკორატიული მცენარეების) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 50 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% პრაქტიკას ეთმობა. კურსდამთავრებულს ენიჭება მებაღის (დეკორატიული მცენარეების) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

მებაღის (დეკორატიული მცენარეების) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 50 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% პრაქტიკას ეთმობა. კურსდამთავრებულს ენიჭება მებაღის (დეკორატიული მცენარეების) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

მებაღის (დეკორატიული მცენარეების) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 40 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% პრაქტიკას ეთმობა. კურსდამთავრებულს ენიჭება მებაღის (დეკორატიული მცენარეების) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. მებაღის (დეკორატიული მცენარეების) კვალიფიკაციათა აღმწერი

მებადის (დეკორატიული მცენარეების) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი.

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის</p> <ul style="list-style-type: none"> • ბოტანიკის საფუძვლები, მცენარეთა ძირითადი ორგანოები და მათი მნიშვნელობა; • დეკორატიული მცენარეთმცოდნეობის სისტემა და მისი ძირითადი წარმომადგენლები; • საქართველოს ძირითადი ნიადაგების ტიპები; • ძირითადი მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის საშუალებები; • აგროტექნიკური ღონისძიებები, მათი ჩატარების დროს გამოსაყენებელი სამუშაო იარაღები და ტექნიკა; • მებაღეობის საფუძვლები; • ხაზვისა და ფერმცოდნეობის საფუძვლები; • სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები. <p>აცნობიერებს აგროტექნიკური სამუშაოების დროს შრომის უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვის აუცილებლობას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სეზონური სამებაღეო სამუშაოების წარმოება (შესაბამისი სამუშაო იარაღებისა და ტექნიკის გამოყენებით ნიადაგის მომზადება-დამუშავება, შერჩეული ასორტიმენტისა და ფერის მიხედვით მცენარეთა დარგვა, ფორმირება და მოვლა; ყვავილნარისა და გაზონის მოწყობა და მოვლა; მცენარეთა გასხვლა; კომპოსტის მომზადება; ძირითად მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებების გატარება). 2. ძირითადი დეკორატიული მცენარეების ვეგეტატიური და გენერაციული გამრავლება; 3. ინტერიერის გაფორმებაში გამოყენებული მცენარეების მოვლა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია სხვადასხვა სამებაღეო სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით საკომუნიკაციო და საინფორმაციო წყაროებით ინფორმაციის მოპოვება, მისი შეფასება და ანალიზი; შესასრულებელი სამუშაოს გააზრება და დასკვნების გამოტანა.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია სამებადლო სამუშაოებთან დაკავშირებულ პროცესებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; უცხოურ ენაზე მარტივი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	დამოუკიდებლად შეუძლია დეკორატიულ მებადლობასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება და შესწავლა. შეუძლია განსაზღვროს საკუთარი სწავლის და პროფესიული განვითარების შემდგომი პერსპექტივები.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული მოვალეობების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. არის ფიზიკურად ამტანი, კეთილსინდისიერი, აკურატული, მოწესრიგებული და ორგანიზებული. შხამ-ქიმიკატებთან მუშაობისას იცავს უსაფრთხოების ნორმებსა და წესებს;

მებადის (დეკორატიული მცენარეების) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი.

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის ლანდშაფტის არქიტექტურის საფუძვლები, იცის სკვერების მოწყობა, სკვერის ქვედა და ზედა იარუსის (ბუჩქები, ხეები) მოსაწყობად დეკორატიულ მებადლობაში ერთწლიანი, ორწლიანი და მრავალწლოვან მცენარეთა დარგვისას დეკორატიული ეფექტების შექმნის ტექნიკა; პროექტის კითხვა; იცის მცენარეების მოვლის თავისებურებანი, მავნებელ-დაავადებები და მათი აღმოჩენისას საჭირო ღონისძიებების გატარების ტექნიკა.
------------------------------	---	--

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვის და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ლანდშაფტის არქიტექტორის მიერ მომზადებული სკვერებისა და მცირე ბაღების პროექტის წაკითხვა, მათი მოწყობა, მოვლა და გაფორმება; შეუძლია საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და ბიზნეს-გეგის შედგენა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შეესაბამისი მიდგომების შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.	შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს ალტერნატივები სკვერების მოწყობის დროს სპეციფიკური პრობლემების წარმოქმნისას და მიიღოს გადაწყვეტილებები მათ გადასაჭრელად.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ცვალებად სიტუაციებში პროფესიულ თემებზე საუბარი დამკვეთთან, მისგან ინფორმაციის მიღება, კონკრეტულ შემთხვევებში მისთვის რჩევის სახით საჭირო ინფორმაციის მიწოდება როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე. შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. აქვს კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავების უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, თუმცა ნაწილობრივ ცვლად ვითარებაში.	ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აქვს დეკორატიული მცენარეების მებაღის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები. იცის თავისი პროფესიული მოვალეობები და პასუხისმგებლობით ეკიდება მათ.

მეზადის (დეკორატიული მცენარეების) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი.

<p>ცოდნა და გაცნობიერებ</p>	<p>ხეკს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის ინდივიდუალური საბალო ნაკვეთების, მცირე ბაღებისა და პარკების მოწყობისა და გაფორმების ტექნოლოგია. იცის ლანდშაფტის არქიტექტურული თავისებურებანი და მათი გამოყენების ტექნიკა მცირე ბაღებისა და პარკების გაფორმებისას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია ლანდშაფტის არქიტექტორის მიერ მომზადებული ინდივიდუალური საბალო ნაკვეთების, მცირე ბაღებისა და პარკის პროექტის კითხვა, მათი მოწყობა, გაფორმება და მოვლა. შეუძლია საფეხურით უფრო დაბალი კვალიფიკაციის მქონე დეკორატიული მცენარეების მეზადის დაქირავება, მისი სამუშაოს დაგეგმვა, შესრულებული სამუშაოს შემოწმება, ხარისხის კონტროლი, წუნისა და დეფექტების აღმოფხვრა. შეუძლია შრომის უსაფრთხოების ნორმებსა და წესების უზრუნველყოფა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. ასევე, დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია ინდივიდუალური საბალო ნაკვეთის, მცირე ბაღისა და პარკების მოწყობისა და გაფორმებისას წარმოქმნილი პრობლემების ამოცნობა, ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის მონაცემების იდენტიფიცირება, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია სხვადასხვა სიდიდის ბაღების და პარკების მოწყობისა და გაფორმების შესახებ საკუთარი იდეები თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადასცეს სპეციალისტებს და არასპეციალისტებს. მსჯელობისას ეყრდნობა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს.</p>

<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>აფასებს გულისხმიერ და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას კლიენტებთან, პარტნიორებთან და ხელქვეითებთან. აფასებს დეკორატიული მებაღეობის როლსა და მნიშვნელობას ქალაქების ლანდშაფტის ესტეტიკური სახის გაუმჯობესებაში.</p>

